



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:
დიპლომირებული მედიკოსი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება:
ქუთაისის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 5-6 სექტემბერი 2019,

ანგარიშის წარდგენის თარიღი:
17 ოქტომბერი 2019

თბილისი
2019
წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინსტიტუციის სახელწოდება მისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	212677094
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული მედიკოსი, ერთსაფეხურიანი ბაკალავრი 0912
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი ოლვინ ვესტვუდი ბრუნელის უნივერსიტეტი, ლონდონი, გაერთიანებული სამეფო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი ია ფანცულაია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი/ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი ცოტნე სამადაშვილი მედიცინის დოქტორი, თბილისი/ქუთაისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქალბატონი მარიამ თევზაძე (სტუდენტი ექსპერტი) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი/ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მედიცინის ამ საბაკალავრო პროგრამის გეგმები არის როგორც ამაღელვებელი, ასევე ინოვაციური, ცოდნის გადაცემის ფორმითა და ძირითადი და კლინიკური მეცნიერებების ინტეგრაციით. ნათელია, რომ მედიცინის ფაკულტეტის ხელმძღვანელობა და პროგრამის ხელმძღვანელი, კომუნიკაციაში იყვნენ საავადმყოფოებსა და კლინიკებში ძირითადი მეცნიერებების წარმომადგენლებთან და კლინიკის დარგის კოლეგებთან, რათა შეემუშავებინათ მედიცინის პროგრამა. ამჟამად, ქუთაისის უნივერსიტეტის ამოცანაა:

- აიყვანოს სტუდენტები, რომლებიც შეძლებენ პროგრამის წარმატებით გავლას
- შეინარჩუნოს ძირითადი მეცნიერებისა და კოლეგების ენთუზიაზმი, რათა განახორციელოს პროგრამა ცოდნის, უნარებისა და პროფესიული განვითარების თვალსაზრისით

მედიცინის ფაკულტეტმა მიიღო რჩევები სამედიცინო განმანათლებლებისგან და ექსპერტებისგან, როგორც საქართველოს შიგნით, ასევე გარე, საერთაშორისო მრჩეველებისგან. ეს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა კონფიგურირებულია კრედიტების ECTS სისტემაზე (360 კრედიტი), ისწავლება 6 წლიანი (12 სემესტრი) დასწრებული სწავლების ფორმატში.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კურიკულუმმა მართალია ახლა უნდა მიიღოს სტუდენტები, თუმცა იგი შექმნილია აკადემიური და კლინიკური პროგრესის დემონსტრირებისათვის, რომელიც დაშენებულია წინა აკადემიური წლების განმავლობაში მიღებულ ცოდნასა და უნარებზე და ემსახურება სამედიცინო საქმიანობისა და კვალიფიკაციის მოსაპოვებლად საჭირო კომპეტენციების აუცილებლად მიღწევას. ჩვენი დისკუსიებიდან ნათელი გახდა, რომ ხელმძღვანელობას სურს ისეთი ექიმების გამოშვება, რომლებიც კრიტიკულად აზროვნებენ, რომელთაც ესმით ძირითადი და კლინიკური მეცნიერებების ინტეგრირების საჭიროება.

პაციენტებთან შეხვედრამდე, მედიცინის სტუდენტები ლაბორატორიაში შეისწავლიან კლინიკურ და კომუნიკაციის უნარებს. მართალია პროგრამა ინგლისურ ენაზე ისწავლება, თუმცა ყველა სტუდენტს მოეთხოვება ქართულ ენაზე კომუნიკაციის უნარი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მათი მშობლიური ენა არაა, ეს საჭიროა იმისთვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ პაციენტებთან კომუნიკაცია. ლაბორატორიებში შექმნილ სიმულაციურ გარემოში, სტუდენტები შეძლებენ სწავლას სიმულატორებსა და მულაჟებზე, ასევე მონაწილეობას მიიღებენ პაციენტი-ექიმის როლურ თამაშებში. კლინიკური პრაქტიკის სწავლა და სწავლება მოხდება კლინიკებში (პაციენტის საწოლთან, კლინიკებში, საოპერაციო ოთახებში, სასემინარო ოთახებში შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლებისთვის). ცოდნის შესამოწმებლად გამოიყენება შეფასების მთელი რიგი მოდალობები, მათ შორის კითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით და წერილობითი შეფასებები. გამოიყენებენ „ობიექტურ სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას“ (OSCE) რათა შეაფასონ ცოდნა, უნარების განვითარება და კომპეტენცია, ეს თავდაპირველად მოხდება სტანდარტიზებული პაციენტებისა და მულაჟების (სიმულატორების) გამოყენებით, შემდეგ კი, პროგრამის მომდევნო წლებში გადავლენ რეალურ პაციენტებზე.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

NCEQE-ს გუნდი

1. ეწვია შემდეგ კლინიკებს:
 - აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი
 - კლინიკა LG
 - ლერი ხონელიძის კლინიკა
 - LG და კომპანია დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი (ერთადერთი სპეციალიზებული ცენტრი დასავლეთ საქართველოში)
2. გუნდს ჰქონდა ძალიან სასარგებლო შეხვედრები და დისკუსიები ჩამოთვლილ დაინტერესებულ მხარეებთან:
 - ქუთაისის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და მმართველობასთან, რომელიც მოიცავდა უნივერსიტეტის რექტორს და ფაკულტეტის დეკანს,
 - ასევე შემდეგი კათედრების ხელმძღვანელებთან და ერთეულების წარმომადგენლებთან:
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
 - სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტური მომსახურების სამსახურის
 - სტრატეგიული განვითარების, ინტერნაციონალიზაციისა და კვლევის ხელშეწყობის სამსახურის
 - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის
 - მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის
 - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის
 - სტუდენტური თვითმმართველობის
 - შეხვედრები შედგა, როგორც კლინიკური ასევე ძირითადი მეცნიერების აკადემიკოსებთან, ასევე მათთან ვინც პასუხისმგებელია ქართული ენის შესწავლაზე,
 - მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, რომელიც მოიცავდა კლინიკური და ძირითად მეცნიერებათა კოლეგებს
 - კონსულტაციები შედგა ჩამოთვლილი დისციპლინების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის მოქმედ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან:
 - ეკონომიკა
 - ფინანსები
 - ბიზნესის ადმინისტრირება
 - ტურიზმი.
3. ჰქონდათ შესაძლებლობა მოენახულებინათ სასწავლო, სწავლებისა და შეფასების დაწესებულებები და რესურსები:
 - ბიბლიოთეკა
 - საკლასო ოთახები
 - OSCE ბლოკი,
 - ანატომია,
 - ლაბორატორიები (ბიოქიმია და ჰისტოლოგია),

- კომპიუტერული ოთახები

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა** პროგრამა სრულად შეესაბამება NCEQE-ს სტანდარტებს

ქუთაისის უნივერსიტეტი ენთუზიასტია და უზრუნველყოფს რესურსებს პროგრამის შესასრულებლად

- ბიბლიოთეკა
- კომპიუტერები
- OSCE ბლოკი,
- ანატომიის მოდელები და ვირტუალური რეალობა ანატომიის შესასწავლად
- ადგილობრივი კლინიკებისა და ექიმების სრული მხარდაჭერით, მათი კონსულტაციებით შეიქმნა ამ სამედიცინო პროგრამის შინაარსი.

პროგრამაში შემუშავებულია სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების რუკა, რომელიც საჭიროა ქართული სამედიცინო საბაკალავრო პროგრამებისთვის

▪ რეკომენდაციები

რამდენიმე რეკომენდაცია გაიცა, რადგან სამედიცინო პროგრამა სტუდენტებს სარეგისტრაციოდ აიყვანს 2020 წელს. თუმცა, სამედიცინო პროგრამის მიზნების გათვალისწინებით, რომელიც ვითარდება აკადემიური პერსონალის აყვანის თვალსაზრისით, ფაკულტეტისა და ინფრასტრუქტურის განვითარება არის საჭირო, შესაბამისად, ჩვენი რჩევაა მოქმედებდეს მკაცრი შემოწმების დონე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ფაკულტეტის ხელმძღვანელობისა და კოლეგების ორიენტირება ამბიციური და ინოვაციური პროგრამის შესრულებაზე. NCEQE მოხარული იქნება, რომ დაბრუნდეს ქუთაისის უნივერსიტეტში პროგრესის განსახილველად.

სტანდარტი 2:

- შეფასების მეთოდების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, რაც სათანადოდ ამოწმებს დისციპლინის კონკრეტულ სწავლის შედეგებს.
- იმ ექსპერტების რაოდენობის გაზრდა, რომელთაც თანამშრომლობთ, რათა გქონდეთ ექსპერტიზა სამედიცინო განათლების მეთოდებში.

სტანდარტი 3:

- საერთაშორისო პარტნიორობების რაოდენობის გაზრდა, რათა გაიზარდოს სტუდენტებისა და აკადემიკოსების გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები, ასევე ბიზნეს გეგმა და რესურსები მდგრადი ინტერნაციონალიზაციისთვის.

სტანდარტი 4:

- OSCE გამოცდელების აყვანა და გადამზადება პროგრამის ადრეულ ეტაპზე, რათა ისინი მზად იყვნენ შემაჯამებელი შეფასებებისთვის.

- ფაკულტეტის განვითარება სხვადასხვა სამედიცინო განათლების მეთოდებში
- აკადემიური და აფილირებული პერსონალის სასწავლო და ენობრივი უნარების განვითარება, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების გაუმჯობესება.

▪ რჩევები

სტანდარტი 1:

- სტუდენტთა პროგრესის მონაცემების შეფასება და მათი დაკავშირება ეთნიკურობასა და გენდერთან, რათა დადგინდეს ნებისმიერი შესაძლო კავშირი აკადემიურ მიღწევებსა და ამ დემოგრაფიულ პარამეტრებს შორის.
- ქართული ენის სავალდებულო კურსი დაეხმარება სტუდენტების ინტეგრაციას თანაკურსელებთან, პაციენტებთან, კლინიკის პერსონალთან და ზოგადად საქართველოში ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოადგებათ. ასევე, ყველა სტუდენტს უნდა შეეძლოს კომუნიკაცია და ინგლისურ ენაზე სწავლა, რადგან სამედიცინო ლიტერატურის დიდი ნაწილი სწორედ ამ ენაზეა.
- სასურველია, რომ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან ერთად, ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს, რომ საკმარისი რაოდენობის აკადემიკოსები და მოწვეული პერსონალი ჰყავს იმისათვის, რომ სტუდენტებს ასწავლონ.
- სასარგებლო იქნება ფაკულტეტისთვის, თუკი პროგრესს რეგულარულად განიხილავს, რათა დარწმუნდეს, რომ პერსონალიც და სტუდენტებიც სწორად მიდიან წარმატების გზაზე. ის მეთოდები, რომლითაც ეს პროგრამა შემუშავდა, გულისხმობს, რომ აკადემიური და კლინიკური პროგრესი, ისევე როგორც პროფესიული განვითარება შემოწმდება და უზრუნველყოფილი იქნება კურსის დასრულებისთვის.
- OSCE პუნქტების რაოდენობა და ტესტირების საათების რაოდენობა უნდა განიხილებოდეს მისაღები სანდოობითა და კომპეტენციის შეფასების ვალიდურობით.

სტანდარტი 2:

- კოლეგებისთვის სამედიცინო განათლების სფეროს სპეციალისტებთან კონფერენციებზე შეხვედრის შესაძლებლობის მიცემა საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.
- იმის უზრუნველყოფა, რომ სტუდენტთა უკუკავშირის მოსაპოვებელი საუნივერსიტეტო სისტემები იქნება მტკიცე სტუდენტებისთვის, როდესაც ისინი დაიწყებენ პრაქტიკებს.

სტანდარტი 3:

- საერთაშორისო პარტნიორობის რაოდენობის გაზრდა, რათა გაიზარდოს სტუდენტებისა და აკადემიკოსების გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები, ასევე ბიზნეს გეგმა და რესურსები მდგრადი ინტერნაციონალიზაციისთვის.

სტანდარტი 4:

- აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა და სათანადოდ კვალიფიციური აკადემიკოსების უზრუნველყოფა.
- ქუთაისის უნივერსიტეტი უნდა აცნობიერებდეს ბიუჯეტის ხელმისაწვდომობის საჭიროებას დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხანგრძლივობისთვის.
- ნებისმიერი საკითხავი მასალა (ბეჭდური თუ ონლაინ) მზად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისთვის.
- ფაკულტეტის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს, რომ სხვადასხვა სამედიცინო განათლების მეთოდები სწორად სრულდება.
- OSCE გამომცდელების აყვანა და გადამზადება პროგრამის ადრეულ ეტაპზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მომზადებული გამომცდელების ადეკვატური რაოდენობა, ვინც ხელმისაწვდომი იქნება შემაჯამებელი შეფასებებისთვის.

სტანდარტი 5:

- იმის უზრუნველყოფა, რომ სტუდენტთა უკუკავშირის მოსაპოვებელი საუნივერსიტეტო სისტემები იქნება მტკიცე სტუდენტებისთვის, როდესაც ისინი დაიწყებენ პრაქტიკებს.
- პროგრამის გუნდმა რეგულარულად უნდა გადახედოს პროგრამას, შეაფასოს და სრულყოს პროგრამა უამრავი დაინტერესებული მხარისგან მიღებული უკუკავშირის საპასუხოდ, ეს მხარეები არიან სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, კლინიკის პერსონალი და შემდგომში დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის პირველ კურსდამთავრებულთა დამსაქმებლები.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

სტანდარტი 2:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს საუკეთესო პრაქტიკას დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სტუდენტებთან, ინფორმაციის გაზიარებისა და კონსულტაციის დროს. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები უზრუნველყოფს, რომ ყველა აცნობიერებს ინფორმაციის საჭიროებას აკადემიური პროგრამის უწყვეტი განვითარებისთვის.

სტანდარტი 5:

- უნივერსიტეტი ისმენს სტუდენტების ხმას შეფასებებისა და სტუდენტური თვითმმართველობის მეშვეობით და პასუხობს მათ უკუკავშირის პროგრამებისა და ზოგადი ყოველდღიური საუნივერსიტეტო საქმიანობის შესახებ.
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
- პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. ისინი, ასევე, ასახავენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ქუთაისის უნივერსიტეტისთვის ახალია და იგი დაიწყო 2020 წელს, შესაბამისად კურსდამთავრებულ სტუდენტთა პირველი ნაკადი უნივერსიტეტს ეყოლება 2026 წელს. ეს უნივერსიტეტია და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა შესაბამისობაში იქნება მისიასთან, ამოცანებთან და სტრატეგიასთან. NCEQE-ს გუნდმა ნახა მტკიცებულებები და კმაყოფილია დეკანთან, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ ფაკულტეტთან დისკუსიებით (ფაკულტეტი ამ დოკუმენტში მითითებული იქნება, როგორც მედიცინის ფაკულტეტი), იმის თაობაზე, რომ კურიკულუმი დაგეგმილია სწავლის შედეგებისა და იმ კომპეტენციების მიხედვით, რომლებიც მოითხოვება ქართული სამედიცინო პროგრამით. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა დაიგეგმა მედიცინისთვის შესაბამისი განახლებული დარგობრივი მაჩვენებლების მიხედვით და ამგვარად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთვის. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ზოგადი მონახაზი ოთხი ფაზისგან შედგება - I ფაზა - მედიცინის საფუძვლები (I-II კურსი) - II ფაზა - ჯანმრთელობა და დაავადება (III კურსი) - III ფაზა - (ძირითადი კლინიკური როტაციები (IV-V კურსი) - IV ფაზა - რეზიდენტურისათვის მომზადება (VI კურსი) რაც შეეხება სამედიცინო პროგრამის კურიკულუმისთვის გათვალისწინებულ სასწავლო საათებს, ის დაკავშირებულია ECTS სისტემასთან და ამგვარად, პროგრამის ამოცანები მიიღწევა 6 წელიწადში (12 სემესტრში). ინგლისურენოვანი სამედიცინო პროგრამის სტუდენტები შეირჩევიან საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდანაც. შესაბამისად, ქართული ენის კურსები იქნება სავალდებულო, რათა სტუდენტებმა შეძლონ თანაკურსელებთან, პაციენტებთან, კლინიკურ პერსონალთან ინტეგრირება და გაუმარტივდეთ ყოველდღიური ცხოვრება საქართველოში. ასევე, ყველა სტუდენტს უნდა შეეძლოს კომუნიკაცია და ინგლისურ ენაზე სწავლა, რადგან სამედიცინო ლიტერატურის დიდი ნაწილი სწორედ ამ ენაზეა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები. • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა) • უნივერსიტეტის მისია.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • ქართული ენის სავალდებულო კურსი დაეხმარება სტუდენტების ინტეგრაციას თანაკურსელებთან, პაციენტებთან, კლინიკის პერსონალთან და ზოგადად საქართველოში ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოადგებათ. ასევე, ყველა სტუდენტს უნდა შეეძლოს კომუნიკაცია და ინგლისურ ენაზე სწავლა, რადგან სამედიცინო ლიტერატურის დიდი ნაწილი სწორედ ამ ენაზეა.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

ეს არის ახალი სამედიცინო პროგრამა, რომელმაც ამიერიდან უნდა მიიღოს სტუდენტთა პირველი ნაკადი, შესაბამისად, სასიამოვნო იყო იმის ნახვა, თუ როგორი ენთუზიაზმით არიან განწყობილი, ჩაერთონ ახალ და ინოვაციურ სამედიცინო განათლების მეთოდებში, ძირითადი და კლინიკური მეცნიერებების ინტეგრაციის მიზნით.

კარგი იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისგან იმის მოსმენა, თუ როგორ ამომწურავად ფასდება პროგრამები უნივერსიტეტის მიერ, და რომ მოპოვებული ინფორმაცია გამოადგება მედიცინის ფაკულტეტს, რამდენადაც ეს უკანასკნელი ცდილობს იმოქმედოს საუკეთესო პრაქტიკებით პროგრამის ყველა ასპექტში.

მედიცინის ფაკულტეტმა გამოავლინა და მიიღო რჩევები ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისგან და სასურველი იქნება, თუკი იგივე ხალხი შეასრულებს აქტიურ როლს ფაკულტეტის განვითარებაში. როგორც ჩანს, ამჟამად მოწვეული პერსონალის გარკვეულ ნაწილს კონტრაქტები აქვს სხვა მედიცინის სკოლებთან, რომლებიც მდებარეობს თბილისში. სასურველია, რომ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან ერთად, ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს, რომ საკმარისი რაოდენობის აკადემიკოსები და მოწვეული პერსონალი ჰყავს იმისათვის, რომ სტუდენტებს ასწავლონ. გადამწყვეტი ფაქტორი ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის კურსდამთავრებულებისთვის იქნება მათი შედეგები ეროვნულ გამოცდებზე.

პროგრამისთვის შეთავაზებული შეფასების მეთოდები სათანადოა და მედიცინის ფაკულტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ შეამოწმონ სწავლის შედეგები, რომლებიც გაწერილია კურიკულუმით. მედიცინის ფაკულტეტისთვის კარგი პრაქტიკა იქნება, თუკი გამოიყენებს საგამოცდო მოდელებს (სადაც კითხვები გაწერილია სწავლის შედეგების მიხედვით) შეფასებისთვის. არ იყო ნახსენები, გამოიყენებს თუ არა სამედიცინო პროგრამა კრიტერიუმებზე დაფუძნებულ მეთოდებს (სტანდარტული გარემო) კომპეტენციაზე დამყარებული შეფასებისთვის. კარგი იქნებოდა იმის გაგება, თუ როგორ მოამზადებენ აკადემიკოსებს სტუდენტთა ნამუშევრების შეფასებასა და შეფასების პროცესისთვის საჭირო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში. შესაბამისად, სასარგებლო იქნება ფაკულტეტისთვის, თუკი პროგრესს რეგულარულად განიხილავს, რათა დარწმუნდეს, რომ პერსონალიც და სტუდენტებიც სწორად მიდიან წარმატების გზაზე. ის მეთოდები, რომლითაც ეს პროგრამა შემუშავდა, გულისხმობს, რომ აკადემიური და კლინიკური პროგრესი, ისევე როგორც პროფესიული განვითარება შემოწმდება და უზრუნველყოფილი იქნება კურსის დასრულებისთვის.

შესაძლებელია, რომ ამ სამედიცინო პროგრამამ (ინგლისურ ენაზე) მოიზიდოს საერთაშორისო სტუდენტები და ამგვარად არსებობს შესაძლებლობა, რომ კურსის დასრულების შემდეგ, ისინი დაბრუნდნენ მშობლიურ ქვეყნებში და იქ იმუშაონ ექიმებად და არა საქართველოში. შესაბამისად, ადგილზე ვიზიტის განმახორციელებელი NCEQE გუნდის რჩევაა, რომ ქართული შრომის ბაზრის მოთხოვნები არ იყოს დისკუსიის საგანი.

სტუდენტთა ეთნიკური მრავალფეროვნების მიუხედავად, მედიცინის ფაკულტეტს ვურჩევთ, რომ შეაფასოს სტუდენტთა პროგრესის შესახებ მონაცემები და დაუკავშიროს ისინი მათ ეთნიკურ წარმომავლობასა და გენდერს, რათა დაადგინოს არსებობს თუ არა რაიმე კავშირი მიღწევებსა და ამ დემოგრაფიულ პარამეტრებს შორის.

არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მთელ მედიცინის ფაკულტეტზე იყოს კომუნიკაციის მკაფიო არხები, მაგ: აკადემიკოსებს, მოწვეულ პერსონალსა და აფილირებულ კოლეგებს შორის (უნივერსიტეტში და კლინიკაშიც). პროგრამის ხელმძღვანელმა დაგვარწმუნა, რომ განხილვის რეგულარული ციკლი იმოქმედებს და ამ განხილვიდან მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენება განვითარებისთვის. ამ ინფორმაციას გამოიყენებენ სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებასთან კავშირში. გაითვალისწინეთ, რომ კლინიკური პროგრამის სწავლება კოორდინირებული უნდა იყოს ადმინისტრაციული მხარდაჭერით ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აფილირებული კლინიკური აკადემიკოსებისთვის.

მედიცინის ფაკულტეტმა აღწერა შეთავაზებული შეფასებები, რომლებიც მოიცავს:

- კურსის შიდა შეფასებებს (წერილობით დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები)
- კურსის დამამთავრებელ შეფასებებს, და დაგვარწმუნეს, რომ რამდენადაც ყველა საგნის მაჩვენებელი დაპროექტებულია კურიკულუმში, კომპეტენციის მტკიცებულებებიც წარმოდგენილი იქნება.
- კლინიკური უნარები შეფასდება კლინიკებში, სადაც სტუდენტებს დააკვირდებიან და დაუყოვნებლივ უკუკავშირს მისცემენ თავიანთ სამუშაოზე.
- OSCE შეფასებებს გამოიყენებენ მინიმუმ 8 სადგურზე და პროგრამის ბოლო წლებში გამოიყენება რეალური პაციენტებიც, თუმცა ექსპერტთა რჩევაა, გადახედოთ OSCE პუნქტების რაოდენობას და ტესტირების საათებს, რათა უზრუნველყოთ კომპეტენცია.

რამდენადაც ქუთაისის უნივერსიტეტი პატარა დაწესებულებაა, სამედიცინოს სტუდენტებს, ისევე როგორც მათ თანაკურსელებს სხვა დისციპლინებზე, ექნებათ შესაძლებლობა მიმართონ პრობლემებით დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელსა და რექტორს, ასევე მიმართონ მან სტუდენტური თვითმმართველობის მეშვეობით. უფრო მეტიც, სტუდენტთა ხმა უნივერსიტეტს მიეწოდება სტუდენტური გამოკითხვებით და სტუდენტთა წარმომადგენლობით კომიტეტებში.

კლინიკებში განხორციელებული ვიზიტები

ვიზიტის განმახორციელებელ NCEQE გუნდს სურს მადლობა გადაუხადოს ქუთაისის უნივერსიტეტის პარტნიორ კლინიკებს მათ მიერ ჩვენთან დახარჯული დროისთვის, როდესაც ისინი გვიხსნიდნენ მათ ჩართულობას სამედიცინოს სტუდენტების განათლების კუთხით. ჩვენ შევძელით 4 კლინიკის მონახულება და შეხვედრა აკადემიკოსებთან, კლინიკის ტუტორებთან და ადმინისტრატორებთან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან

პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების უზრუნველყოფაზე კლინიკებში. ჩვენ დავესწარით შემდგომ კლინიკებს:

- აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი
- კლინიკა LG
- ლერი ხონელიძის კლინიკა
- LG და კომპანია დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი (ერთადერთი სპეციალიზირებული ცენტრი დასავლეთ საქართველოში)

ვიზიტის განმახორციელებელი გუნდისთვის შთამბეჭდავი იყო კლინიკური და ადმინისტრაციული პერსონალის მკაფიოდ გამოხატული ძალისხმევა, უზრუნველყონ სრულყოფილი კლინიკური სასწავლო გამოცდილება სამედიცინოს სტუდენტებისთვის. კლინიკები კარგად აღჭურვილია და სტუდენტებს სთავაზობენ კლინიკური სპეციალობების ფართო სპექტრს როტაციისთვის. ეს მოიცავს სტაციონარულ მზრუნველობას და ამბულატორიულ კლინიკებს, მთელ რიგ სადიაგნოსტიკო მოწყობილობებს (კომპიუტერული ტომოგრაფიის სკანერებს, მაგნიტო რეზონანსული კვლევის სკანერებს, ლაბორატორიას). ნიშანდობლივი ინვესტიცია იგეგმება ქირურგიაში, რაც კიდევ უფრო დიდ სასწავლო გამოცდილებას შესთავაზებს სამედიცინოს სტუდენტებს. ისევე როგორც, ამჟამინდელი ინფრასტრუქტურული დაწესებულებები სწავლისა და სწავლებისათვის, კონფერენციებისა და სიმულირებული პრაქტიკებისთვის. სტუდენტს აქვს ინგლისური ენის კარგი ცოდნა, რაც ეხმარება მას სწავლების პროცესში, რამდენადაც ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისურ ენაზეა. ამკარაა, რომ მედიცინის სტუდენტებს აქ საკმარისი დრო აქვთ, ბევრი ბრუნდება იმისათვის, რომ რეზიდენტურა დაიწყოს კურსის დამთავრების შემდეგ, ზოგიერთი კი უკრაინაში გავლილი რეზიდენტურიდან ქუთაისში სამუშაოდ ბრუნდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები.
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სტუდენტთა პროგრესის შესახებ მონაცემების შეფასება და მისი დაკავშირება ეთნიკურობასა და გენდერთან, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე კავშირი მიღწევებსა და ამ დემოგრაფიულ პარამეტრებს შორის.
- სასურველია, რომ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან ერთად, ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს, რომ საკმარისი რაოდენობის აკადემიკოსები და მოწვეული პერსონალი ჰყავდეს იმისათვის, რომ სტუდენტებს ასწავლონ.

• სასარგებლო იქნება ფაკულტეტისთვის, თუკი პროგრესს რეგულარულად განიხილავს, რათა დარწმუნდეს, რომ პერსონალიც და სტუდენტებიც სწორად მიდიან წარმატების გზაზე. ის მეთოდები, რომლითაც ეს პროგრამა შემუშავდა, გულისხმობს, რომ აკადემიური და კლინიკური პროგრესი, ისევე როგორც პროფესიული განვითარება შემოწმდება და უზრუნველყოფილი იქნება კურსის დასრულებისთვის. • OSCE სადგურების რაოდენობა და ტესტირების საათების რაოდენობა უნდა განიხილებოდეს მისაღები სანდოობითა და კომპეტენციის შეფასების საფუძვლიანობით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან.	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
აღწერა და შეფასება ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი სრულიად გამჭვირვალეა თავის წინაპირობებსა და პროგრამით გათვალისწინებული შეფასების პროცედურებში. ისინი შემუშავდა შემდგომი რეგულაციების შესაბამისად: (ა) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და (ბ) ქუთაისის უნივერსიტეტის „სტუდენტთა მიღების წესი“. • ძირითადი წინაპირობა მოიცავს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე. • ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შესაბამისად; ინგლისურ ენაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 80%-ს. • აპლიკანტებს მოეთხოვებათ, დაადასტურონ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დონე ან ჰქონდეთ საერთაშორისო სერთიფიკატი - IELTS (> 5.0), TOEFL (> 45); არსებობს რეგულაციები სტუდენტთა მობილობის შესახებ, ანუ აკადემიური წლის წარმატებით დასრულების შემდეგ. მიღების კრიტერიუმები და ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, როგორც ინგლისურად ასევე ქართულად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები. • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა) • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა შემუშავდა ქუთაისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით (გზამკვლევი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისთვის, განხორციელებისთვის, შეფასებისა და განვითარებისთვის).

კურიკულუმის პროექტი წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე ძირითადი და კლინიკური მეცნიერების აკადემიკოსების ერთობლივი თანამშრომლობის შედეგს, ითვალისწინებს რა ქართული ჯანდაცვის ეკონომიკის საჭიროებებს 21-ე საუკუნის ექიმისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების თვალსაზრისით. ცხადია, კურიკულუმს აქვს ჰორიზონტალური და ვერტიკალური თემები, ესენი შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად

- ცოდნა
- საკომუნიკაციო და კლინიკური უნარები
- პროფესიული განვითარება, რომელიც მოიცავს სამედიცინო ეთიკას, კლინიკური მსჯელობის შემთხვევებს, პროფესიულ ქცევას, პირად ცნობიერებას და თვით-ზრუნვას, რათა თავიდან ავიცილოთ „გადაწვა“ მულტიდისციპლინარულ გუნდებში მუშაობისას.

კურიკულუმის დეტალები ფართოდ შეფასდა უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებითა და გარე შემფასებლების მიერ (ქართველებისა და უცხოელების).

პროგრამის სტრუქტურა ასეთია:

- I ფაზა - მედიცინის საფუძვლები (I-II კურსი) - 120 კრედიტი
- II ფაზა - ჯანმრთელობა და დაავადება (III კურსი) - 60 კრედიტი
- III ფაზა - ძირითადი კლინიკური როტაციები (IV-V კურსი) - 120 კრედიტი
- IV ფაზა - რეზიდენტურისათვის მომზადება (VI კურსი) - 60 კრედიტი

ამ სასწავლო გეგმის ინტეგრირებული ხასიათიდან გამომდინარე, სტუდენტები სწავლობენ ძირითად და კლინიკურ მეცნიერებებს ყოველ წელს.

I ფაზა - მედიცინის საფუძვლები (I-II კურსი)

სწავლების მთავარი სფეროები მოიცავს ბიოსამედიცინო მეცნიერებებისა და ადამიანის ორგანიზმის აგებულება-ფუნქციის შესახებ ძირეულ კონცეფციებს. (ადამიანის სხეულის აგებულება, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების პრინციპები და კვლევა, ნეირომეცნიერებები, სამედიცინო ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები, კლინიკური უნარების შესავალი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საფუძვლები).

II ფაზა - ჯანმრთელობა და დაავადება (III) სწავლების ძირითადი სფეროები მოიცავს შესავალს კლინიკურ მედიცინაში, ანუ დიაგნოსტიკური მსჯელობა და კლინიკური უნარები, ფარმაკოლოგია და პათოლოგია, დიფერენციალური დიაგნოზისთვის დაავადების სიმპტომებისა და ნიშნების გამოვლენასთან ერთად, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების გზით და პრობლემის გადაჭრის მეთოდით. III ფაზა - ძირითადი კლინიკური როტაციები (IV-V კურსი) ამ ფაზაში სწავლა ხდება კლინიკური პრაქტიკით, რაც არის შინაგანი მედიცინა (სისტემაზე დაფუძნებული), ქირურგია, მეანობა და გინეკოლოგია, გადაუდებელი მედიცინა, პედიატრია, ფსიქიატრია, რადიოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია და სხვ. თითოეული როტაციის დასასრულს, სტუდენტი ახარებს ინტეგრირებულ გამოცდას. (MCQ/OSCE) მე-2 და მე-3 ფაზებში არის პროფესიული განვითარება ექიმის სათანადო ქცევებისა და უნარების ჩამოყალიბებისათვის, როგორც ლაბორატორიაში ასევე კლინიკებში. ფაზა IV- რეზიდენტურისათვის მომზადება (VI) ეს არის პროგრამის დამამთავრებელი კურსი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტები ემზადებიან სამედიცინო პრაქტიკისთვის, სრულყოფენ კომპეტენციებს შინაგან მედიცინაში, ქირურგიაში, მეანობა-გინეკოლოგიაში, ინფექციურ სნეულებებში, საოჯახო მედიცინაში, ოფთალმოლოგიაში, გერიატრიაში, პედიატრიაში და გადაუდებელ მედიცინაში. შეფასების მეთოდები ერთია ყველა დისციპლინისთვის (ძირითადი თუ კლინიკური). მაგალითად, ყველა მეთოდი მოითხოვს ესეს დაწერას, რომელიც ფასდება მაქსიმუმ 2 ქულით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ თითოეული საგანი საჭიროებს სხვადასხვა შეფასების სისტემას, რომელიც ეფუძნება სწავლების მეთოდის სპეციფიკას და არა ერთიან სისტემას.	მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები. • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა) • უნივერსიტეტის მისია. რეკომენდაციები: • შეფასების მეთოდების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, რაც სათანადოდ ამოწმებს დისციპლინის კონკრეტულ სწავლის შედეგებს. რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
---	---

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.3 კურსი ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა ეფუძნება სფეროში არსებულ ძირითად მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის გამიზნული სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი ვიზიტის განმახორციელებელმა NCEQE-ის გუნდმა შეაფასა სამედიცინო პროგრამის დოკუმენტები და ასევე ჰქონდა სიღრმისეული დისკუსიები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც ჩართულნი არიან პროგრამის განვითარებაში. ნათელია, რომ პროგრამის 4 ფაზის განმავლობაში, სხვადასხვა კურსები, ავლენენ აკადემიურ პროგრესს სწავლის დონის, სიღრმის და სირთულის გზით, და ამ კურსებს გააჩნიათ სწავლის სათანადო მიზნები, რომლებიც უნდა შეფასდეს სწავლის შედეგების მიხედვით. სხვადასხვა ფაზისთვის მინიჭებული კრედიტები ასახავენ სწავლისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების რაოდენობას, კერძო, თვით-ორიენტირებად და დამოუკიდებელ სწავლებას. ბუნებრივია, როდესაც სტუდენტი სრულად ჩართულია პრაქტიკების დროს კლინიკურ სწავლებაში, თითოეული კრედიტისთვის კლინიკური პრაქტიკის საათების რაოდენობაც უფრო დიდი იქნება, პროგრამის ადრეულ ეტაპზე უფრო დიდაქტიკურ სასწავლო მოდულებთან შედარებით. შექებას იმსახურებს შეთავაზებული მეთოდები სამედიცინო განათლების მისაღებად, თუმცა მედიცინის ფაკულტეტის ხელმძღვანელობის თანამშრომლები ყურადღებით უნდა მოეკიდონ ფაკულტეტის განვითარების საჭიროებას, რათა თანამშრომლები კომპეტენტურები იყვნენ ამ მეთოდებში, იგულისხმება სასწავლო მასალების შემუშავება და ტრენინგები პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისთვის, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლებისთვის, OSCE გამომცდელის გადამზადება და შეფასების მასალების წერა (ერთი საუკეთესო პასუხის მქონე კითხვების დაწერა, OSCE პუნქტები). შესაბამისად, მედიცინის ფაკულტეტისთვის არსებითი მნიშვნელობის იქნება, რომ გააფართოვოს თანამშრომლობა,

რათა უზრუნველყოს ექსპერტიზა ამ მეთოდებში. საბიბლიოთეკო რესურსები: სამედიცინოს სტუდენტებს წვდომა უნდა ჰქონდეთ სასწავლო მასალებზე (წიგნებსა და ჟურნალებზე, მონაცემთა ბაზებზე) როგორც უნივერსიტეტის შენობაში, ასევე დისტანციურადაც. მიღებულია, რომ საბიბლიოთეკო მარაგები განახლდეს აკადემიკოსებთან კონსულტაციის საფუძველზე. საჭირო იქნება გადამზადება კომპიუტერული პროგრამის და სწავლისთვის განკუთვნილი მონაცემთა ბაზების მოხმარების შესასწავლად; ამასთან ერთად, აკადემიკოსებმა უნდა უზრუნველყონ, რომ როდესაც სტუდენტებს საკითხავ მასალას ურჩევენ, ეს მასალა თავისუფლად იყოს ხელმისაწვდომი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები. • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა) • უნივერსიტეტის მისია.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • კოლეგებისთვის სამედიცინო განათლების სფეროს სპეციალისტებთან კონფერენციებზე შეხვედრის შესაძლებლობის მიცემა საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ, სამეცნიერო/ კვლევით/ შემოქმედებით/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას მათ კვლევით პროექტებში ჩართვას, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი პირდაპირი მოთხოვნაა, რომ მედიცინის ფაკულტეტი აკმაყოფილებდეს აკრედიტაციის სტანდარტებს, რამდენადაც ქართული პროფესიული მარეგულირებელი მოითხოვს განსაზღვრულ კლინიკურ უნარებში სტუდენტთა კომპეტენციის მტკიცებულებების ნახვას. ამგვარად, ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ დაარწმუნა NCEQE გუნდი, რომ მათ პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება გამოყვეს, როგორც სამედიცინო პროფესიისთვის საჭირო ძირითადი კომპეტენციები. კლინიკური უნარები: კურიკულუმის დოკუმენტებში მოცემულია, რომ სტუდენტები შეისწავლიან პრაქტიკულ უნარებს კლინიკური მოდულების ფარგლებში, ლაბორატორიული სწავლების საფუძველზე, რომელსაც ხელს უწყობენ კლინიკური ტრენერები და ექიმები, ამ უნარებს ასევე შეიძენენ კლინიკური როტაციების დროს ქუთაისის უნივერსიტეტის პარტნიორ კლინიკებში. სამეცნიერო/კვლევითი უნარები: გეგმის თანახმად, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა მოიცავს 13 კრედიტს კვლევის მეთოდებზე, პროექტების დაგეგმვაზე, მონაცემთა ანალიზსა და პრეზენტაციაზე, ასევე სამეცნიერო სტილით წერაზე, საკვლევ წინადადებაზე მედიცინაში. ქუთაისის უნივერსიტეტი ამ ელემენტებს სერიოზულად უდგება და შესაბამისად აქვს აღჭურვილი ლაბორატორია კვლევისათვის და შეიმუშავა შიდა კვლევითი გრანტის სქემა, რომლის წინაპირობაა უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობა კვლევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები. • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა) • უნივერსიტეტის მისია.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი მედიცინის ფაკულტეტი პროგრესულად მოაზროვნეა და შეთავაზებული სამედიცინო პროგრამა ამას ასახავს, ამ ამბიციურ პროგრამასთან ერთად, ჩნდება საჭიროება, უზრუნველყოფილი იყოს სწავლება და გადამზადება გამოცდების პრაქტიკულ უნარებში, კლინიკურ პროცედურებსა და კლინიკურ კომუნიკაციაში. სამედიცინო პროგრამის ინფრასტრუქტურა კარგად ვითარდება თავის კლინიკური უნარების ლაბორატორიით, OSCE ბლოკით, ანატომიური მულაჟებით და ვირტუალური რეალობით. სწავლის მეთოდებია: - ლექცია, - კლინიკური დემონსტრაცია - პრობლემის გადაჭრა და კრიტიკული აზროვნება - შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლა - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL). - როლური თამაშები კლინიკის სიტუაციებში. - სიმულაცია კლინიკებში სტუდენტები ასევე შეძლებენ სწავლას შემდეგი მეთოდებით: - ქირურგიული როტაციები - პაციენტის საწოლთან სწავლება - გუნდური მუშაობა - კვლევითი პროექტები - პაციენტების პრაქტიკული შეფასება კლინიკებში ეს კარგი პროგრამაა და როგორც უკვე აღინიშნა, ძალიან ამბიციური, ამიტომაც საჭირო იქნება ფაკულტეტის სათანადო განვითარება ამ პროგრამის შესასრულებლად. ანალოგიურად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს კლინიკებში კლინიკური სწავლების ხანგრძლივობა, ჩვენ გირჩევდით მომსახურების დონის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმებას ფინანსური რესურსების ნაკადთან ერთად, რათა უზრუნველყოფილი იყოს კარგი სამუშაო ურთიერთობები ქუთაისის უნივერსიტეტსა და კლინიკაში მომუშავე აკადემიკოსებს შორის. უნდა არსებობდეს კლინიკური განთავსების შესახებ სტუდენტთა უკუკავშირის მოპოვებისა და შეფასების მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების გამოცდილების მონიტორინგი და მისი ცვლილება სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები. • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა) • უნივერსიტეტის მისია.
რეკომენდაციები: • იმ ექსპერტების რაოდენობის გაზრდა, რომელთაგანაც თანამშრომლობთ, რათა გქონდეთ ექსპერტიზა სამედიცინო განათლების მეთოდებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • კოლეგებისთვის სამედიცინო განათლების სფეროს სპეციალისტებთან კონფერენციებზე შეხვედრის შესაძლებლობის მიცემა საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პროაქტიული მიდგომა აქვს სტუდენტების შეფასების მიმართ. კითხვარები შედგენილია მეცნიერულად და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მყოფ სტუდენტ სტაჟიორებთან კონსულტაციის საფუძველზე. სტუდენტთა კითხვარების მიწოდება ონლაინ რეჟიმში ხდება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს მონაცემებს, რომლებსაც უზიარებენ რექტორს და შესაბამის აკადემიკოსებს კათედრაზე. გამოიყენება ღია და დახურული კითხვები, მოცემულია ღია გრაფა კომენტარებისთვის, ნებისმიერ თემაზე, რომელსაც შემდეგ აანალიზებენ. ანალიზის შემდეგ, ნებისმიერი საჭირო ცვლილება ეცნობება სტუდენტებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ასევე შეხვედრებზე და ანგარიშების სახით მიეწოდება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

აღმოჩნდა, რომ სტუდენტების მიერ კითხვარების შევსება არამდგრადია. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს პრაქტიკულ მიდგომას, ამცნობს სტუდენტებს თუ რატომ არის მათი მოსაზრებები მნიშვნელოვანი, თუ რაში იყენებენ შემდგომ კითხვარებსა და მონაცემებს, ასევე სტუდენტებს უზიარებენ იმ ცვლილებებს, რომლებიც განხორციელდა სტუდენტთა მოსაზრებების საპასუხოდ. კარგი პრაქტიკაა, თუკი სტუდენტის უკუკავშირის მოსაპოვებელი საუნივერსიტეტო სისტემები იქნება მტკიცე სტუდენტებისთვის, როდესაც ისინი დაიწყებენ თავიანთ პრაქტიკებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • იმის უზრუნველყოფა, რომ სტუდენტთა უკუკავშირის მოსაპოვებელი საუნივერსიტეტო სისტემები იქნება მტკიცე სტუდენტებისთვის, როდესაც ისინი დაიწყებენ პრაქტიკებს.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს საუკეთესო პრაქტიკას დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სტუდენტებთან, ინფორმაციის გაზიარებისა და კონსულტაციის დროს. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები უზრუნველყოფს, რომ ყველა აცნობიერებდეს ინფორმაციის აუცილებლობას აკადემიური პროგრამების უწყვეტი განვითარებისთვის.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
---	--	---	--	--

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს და უზრუნველყოფს მათ შესაბამისი მომსახურებით. პროგრამის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას ამ მომსახურებების თაობაზე, ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში მათ ჩართულობას.

3.1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების შესახებ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

NCEQE-ს გუნდი შეხვდა სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს და ცხადი იყო, რომ მათ სათანადო მხარდაჭერა აქვთ სწავლების პროცესში, ასევე სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია სწავლის საფასურის ეტაპობრივი გადახდის მექანიზმები.

ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს მტკიცე და კარგად განვითარებული სერვისები სტუდენტთა მხარდასაჭერად. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ დასახელებული მხარდაჭერის მაგალითები მოიცავს:

- პროაქტიულობა და სოციალური ღონისძიებების ხელშეწყობა
- სტუდენტების მხარდაჭერა კონსულტაციების გზით (ერთი ერთზე და ჯგუფურად)
- სტაჟირების შესაძლებლობები
- ინფორმაცია კვლევებში, კონფერენციებში, პროექტებსა და ღონისძიებებში ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ
- აკადემიკოსების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვის ისე, რომ ნებისმიერ პრობლემას მიექცეს ყურადღება
- არაქართველ სტუდენტებს უტარდებათ ქართული ენისა და კულტურის კურსები, რათა ხელი შეუწყონ მათ ინტეგრაციას თანაკურსელებთან.
- ინგლისური ენის სწავლება, რამდენადაც სასწავლო მასალების დიდი ნაწილი ინგლისურ ენაზე იქნება.

განვითარების სფერო ქუთაისის უნივერსიტეტისთვის არის საერთაშორისო პარტნიორობების გაფართოება, რათა სტუდენტებისა და აკადემიკოსებისთვის გაიზარდოს გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები, ასევე ბიზნეს გეგმა და რესურსები მდგრადი ინტერნაციონალიზაციისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები.
რეკომენდაციები: • საერთაშორისო პარტნიორობების რაოდენობის გაზრდა, რათა გაიზარდოს სტუდენტებისა და აკადემიკოსების გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები, ასევე ბიზნეს გეგმა და რესურსები მდგრადი ინტერნაციონალიზაციისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი არ ვრცელდება ამ პროგრამაზე, რადგანაც ეს არის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (ერთსაფეხურიანი)
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☐ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

სამედიცინო პროგრამას სტუდენტებისა და პერსონალის სათანადო თანაფარდობა აქვს, დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც კვალიფიციურია ამ პროგრამის მართვისა და სწავლებისათვის. მათ აქვთ აკადემიური შორსმჭვრეტელობა, რათა დაეხმაროს სტუდენტებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში.

შემუშავებულია სამოქმედო გეგმა, რათა უზრუნველყოფილი იყოს აკადემიკოსების დასაქმება ისე, რომ ხელმისაწვდომი იყოს რესურსები. თითო სასწავლო წლისთვის მედიცინის 100 სტუდენტზე მოდის:

- 17 აკადემიკოსი
- 37 მოწვეული თანამშრომელი - მათგან რამდენიმე კლინიკაში აქტიურად მუშაობს კლინიკური და სამეცნიერო აკადემიკოსების, ასევე მოწვეული პერსონალის ერთობლიობით, უნივერსიტეტს ჰყავს კარგი მისაბამი მაგალითები მედიცინის სტუდენტებისთვის.

ქუთაისის უნივერსიტეტი აცნობიერებს ფაკულტეტის განვითარების საჭიროებას. ფაკულტეტის განვითარებისთვის ხელმისაწვდომია ფინანსები, კონფერენციებზე დასასწრებად და 1000 ლარი თითო სემესტრში, თითო პროფესორისთვის, რათა შეძლონ საერთაშორისო პუბლიკაციების გამოქვეყნება. მოქმედებს ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობები, მაგალითად პროფესორ ტ. გიბსთან (ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის პრეზიდენტი), ასევე გარე დაწესებულებებთან, ნეიროფსიქოლოგიის ცენტრთან (ღია კარი).

პროგრამის ხელმძღვანელი მედიცინის დოქტორია, რომელიც წარმოადგენს მაღალი კომპეტენციის მქონე პიროვნებას და აქვს პროგრამის მართვის უნარი, გააჩნია საერთაშორისო კვალიფიკაციები, გამოცდილება და თანამშრომლობა სამედიცინო

განათლებაში. თავის გუნდთან ერთად, იგი პროაქტიულად მუშაობს მედიცინის პროგრამისთვის, რათა მან ფეხი აუწყოს საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებს.

მედიცინის ფაკულტეტის ხელმძღვანელი ასევე პროგრესულად მოაზროვნეა და დაასაქმა ანალოგიური შეხედულებების მქონე კოლეგები, იგი ცდილობს მოიზიდოს პარტნიორები ქუთაისის გარეთ, სამედიცინო განათლებისთვის გაწეული ძალისხმევის ხელშესაწყობად. ეს მოიცავს, ძირითადი და სამედიცინო მეცნიერებების ინტეგრაციას სრული სამედიცინო პროგრამის განმავლობაში, ასევე პროფესიული მედიცინის სტუდენტების პროფესიულ განვითარებას, რაც გულისხმობს მათ ცოდნას, უნარებსა და პროფესიულ ღირებულებებს.

ფაკულტეტს ჰყავს სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სხვადასხვა სპექტრი, რომელიც მხარს უჭერს სამედიცინოს სტუდენტების სწავლებას, ესენია:

- კარიერის მრჩეველები
- კოორდინატორები უცხოელი სტუდენტებისთვის
- სტუდენტთა მომსახურების სამსახური

გასაუბრების პროცესში, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ზოგიერთი აკადემიური თანამშრომელი საჭიროებს მეტ მომზადებას სწავლების თანამედროვე მეთოდებში, ასევე ინგლისურ ენაში. აკადემიური პერსონალის ძირითადი ნაწილის სამუშაო დატვირთვის 55% კვლევა იქნება, თუმცა ძალიან რთულია კვლევითი საქმიანობების რეალიზება სრულყოფილი და თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ლაბორატორიების გარეშე.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად და ყურადღებით უნდა მოეკიდონ იმ დისციპლინებს, რომლებიც საჭიროა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შესასრულებლად, როგორც ქუთაისის უნივერსიტეტის ფარლებში, ასევე პარტნიორ კლინიკებსა და საავადმყოფოებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები.
- პროგრამის შემსრულებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში;
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი აკადემიურ თანამდებობაზე (რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას) და ა.შ.;
- პერსონალის განრიგი;
- დატვირთვის ფორმები.

რეკომენდაციები: • OSCE გამომცდელების აყვანა და გადამზადება პროგრამის ადრეულ ეტაპზე, რათა ისინი მზად იყვნენ შემაჯამებელი შეფასებებისთვის. • ფაკულტეტის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს, რომ სხვადასხვა სამედიცინო განათლების მეთოდები სწორად სრულდება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა და სათანადოდ კვალიფიციური აკადემიკოსების უზრუნველყოფა.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
შემუშავებულია სამოქმედო გეგმა, რათა უზრუნველყოფილი იყოს აკადემიკოსების დასაქმება ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ხელმისაწვდომი რესურსები. თითო სასწავლო წლისთვის მედიცინის 100 სტუდენტზე მოდის: • 17 აკადემიკოსი • 37 მოწვეული თანამშრომელი - მათგან რამდენიმე კლინიკაში აქტიურად მუშაობს კლინიკური და სამეცნიერო აკადემიკოსების, ასევე მოწვეული პერსონალის ერთობლიობით, უნივერსიტეტს ჰყავს კარგი მისაბამი მაგალითები მედიცინის სტუდენტებისთვის. ქუთაისის უნივერსიტეტი აცნობიერებს ფაკულტეტის განვითარების საჭიროებას. ფაკულტეტის განვითარებისთვის ხელმისაწვდომია ფინანსები, კონფერენციებზე დასასწრებად და 1000 ლარი თითო სემესტრში, თითო პროფესორისთვის, რათა შეძლონ საერთაშორისო პუბლიკაციების გამოქვეყნება. მოქმედებს ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობები, მაგალითად პროფესორ ტ. გიბსთან (ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის პრეზიდენტი), ასევე გარე დაწესებულებებთან, ნეიროფსიქოლოგიის ცენტრთან (ღია კარი). იმ ამაღლებელი მეთოდების გათვალისწინებით, რითაც შედგა და შესრულდება პროგრამა, მოქმედებს ადგილობრივი გადამზადების პროგრამები, რომლებიც აკადემიკოსებსა და მოწვეულ პერსონალს მისცემს სამედიცინო პროგრამის შესრულებისთვის საჭირო უნარებს.

სასწავლო წლის ბოლოს, ქუთაისის უნივერსიტეტი შეაფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო, კვლევით და ადმინისტრაციულ საქმიანობას შემდეგი პრინციპის საფუძველზე - 40 (სწავლება)/55 (კვლევა)/5 (ადმინისტრაციული საქმიანობა). იმავდროულად, თითოეული კომპონენტისთვის კომპეტენციის მინიმალური ზღვარი განისაზღვრება შემდეგნაირად - 75%/20%/60%.

ამ რეგულაციის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ქუთაისის უნივერსიტეტი უმეტესად ყურადღებას ამახვილებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ჩართულობის დონეზე. თუმცა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარი 20% ამ კომპონენტში ძალიან დაბალია.

მეორეს მხრივ, ქუთაისის უნივერსიტეტი წლიურად ამოწმებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგად კმაყოფილებას. გამოკითხვა ეფუძნება უნივერსიტეტის საქმიანობების სხვადასხვა ასპექტების შეფასებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კითხვარები სრულდება შიდა კორპორაციული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და ანონიმურია.

შეფასების პროცესის შემდეგ, ადამიანური რესურსების სამსახური აანალიზებს მონაცემებს და ატარებს კონკრეტულ განვითარების პროგრამებს ან პროფესიული განვითარების აქტივობებს. თუმცა, აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ სწავლის მეთოდებსა და ინგლისურ ენაში განსაკუთრებით მეტი გამოცდილების მიღებას საჭიროებს აფილირებული აკადემიური პერსონალი. რაც შეეხება მოწვეულ პერსონალს, მათ მეტი კომპეტენცია აქვთ სწავლებასა და ინგლისურ ენაში. ამგვარად, ჩვენი რეკომენდაციაა, რომ შეფასების ეს სისტემა საჭიროებს მეტ გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობების პოლიტიკა და პროცედურები;
- დოკუმენტაცია, რომელიც ამოწმებს პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში;
- პლაგიატის შესახებ რეგულაციები.

რეკომენდაციები

- აკადემიური და აფილირებული პერსონალის სასწავლო და ენობრივი უნარების განვითარება, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების გაუმჯობესება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- OSCE გამომცდელების აყვანა და გადამზადება პროგრამის ადრეულ ეტაპზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მომზადებული გამომცდელების ადეკვატური რაოდენობა, ვინც ხელმისაწვდომი იქნება შემაჯამებელი შეფასებებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის პროგრამის შესაბამისობასთან დაკავშირებით. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს 20 აუდიტორია (1-100 სტუდენტისთვის, 3- 40 სტუდენტისთვის, 2- 35 სტუდენტისთვის, 3 - 30 სტუდენტისთვის, 5- 20 სტუდენტისთვის, 4- 15 სტუდენტისთვის). უნივერსიტეტს ასევე აქვს 3 საგამოცდო ოთახი (2 ოთახი 30-30 კომპიუტერით და OSCE_ს საგამოცდო ცენტრი) და სამედიცინო ლაბორატორია. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა, რომ ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს სათანადო ინფრასტრუქტურა სამედიცინო პროგრამისთვის, თუმცა იგი მუდმივი გადახედვის ქვეშაა. ბოლო დროს ახალი მშენებლობა განხორციელდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის. ბიბლიოთეკა: 218 წიგნი და ესენი არის ბეჭდური ასლები, ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონული წიგნები და ჟურნალები. მედიცინის ფაკულტეტის დეკანი ბიბლიოთეკას აწვდის იმ წიგნების სიას, რომლებიც საჭიროა თითოეული სასწავლო წლისთვის და ამ წიგნებს შეიძენენ. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერები და ასევე წვდომა ინტერნეტზე, რაც სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი მოწყობილობებით. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი იტევს 50 სტუდენტს და აღჭურვილია 5 კომპიუტერით. იმისათვის, რომ გაამდიდრდეს ბიბლიოთეკის ფონდი, 54 000 დაიხარჯა. შეძენილია 97 ახალი ერთეული. ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს წვდომა Hinari, AGORA, OARE, ARDI, GOAL ელექტრონულ ბაზებზე. ამ ბაზებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები (იხილეთ მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები). სტუდენტთა კმაყოფილების შენარჩუნების მიზნით, სასურველია ნებისმიერი საკითხავი მასალა (ბეჭდური თუ ელექტრონული) ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის. ფაკულტეტის ხელმძღვანელობა პროგრესულად მოაზროვნეა და აცნობიერებს 21-ე საუკუნეში, კლინიკური მედიცინის სწავლებისას ვირტუალური რეალობისა და ინფორმატიკის გამოყენების საჭიროებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში

• ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები. • მასალები, ტექნიკური და საბიბლიოთეკო რესურსები; • უნივერსიტეტის აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, სამეცნიერო ლაბორატორია, საგამოცდო ცენტრები და კლინიკური ცენტრი; • სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში; • ბიბლიოთეკის ელექტრონული მონაცემთა ბაზები; • კლინიკებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები; • ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობისა და წიგნის საცავების საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • ნებისმიერი საკითხავი მასალა (ბეჭდური თუ ონლაინ) ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი NCEQE-ს ექსპერტთა ჯგუფსა და ქუთაისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შორის შედგა სიღრმისეული დისკუსიები და ჩვენ დავრწმუნდით უნივერსიტეტის ძალისხმევაში, დააფინანსოს სამედიცინო პროგრამა აკადემიკოსების, სასწავლო ინფრასტრუქტურის და პარტნიორ კლინიკებში განთავსების შესაძლებლობების თვალსაზრისით. ექსპერტთა ჯგუფი ისურვებდა, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში ყველა აცნობიერებდეს ბიუჯეტის ხელმისაწვდომობის საჭიროებას მედიცინის პროგრამის ხანგრძლივად არსებობისთვის, შემდგომი ასპექტების თვალსაზრისით:

- ფაკულტეტს შეუძლია სამედიცინო პროგრამის ჩატარება უნივერსიტეტის შენობაში და კლინიკებშიც - ინფრასტრუქტურაში ინვესტიცია მულაქებისა და სხვა აღჭურვილობისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ანატომიისა და კლინიკური უნარების სწავლება - გასავალი მასალების ბიუჯეტი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამისთვის საჭირო აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა. - საბიბლიოთეკო ბიუჯეტი წიგნებისა და ჟურნალების ადეკვატური მარაგისთვის (ონლაინ ვერსიები/ბეჭდური ასლები). - სტუდენტთა მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა სწავლების ინტენსიური პროგრამისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში - ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ქუთაისის უნივერსიტეტი უნდა აცნობიერებდეს ხელმისაწვდომი ბიუჯეტის საჭიროებას დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხანგრძლივობისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და პროგრამის განხილვას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პროაქტიული მიდგომა აქვს სტუდენტების შეფასების მიმართ. კითხვარები შედგენილია მეცნიერულად და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მყოფ სტუდენტ სტაჟიორებთან კონსულტაციის საფუძველზე. სტუდენტთა კითხვარების მიწოდება ონლაინ რეჟიმში ხდება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს მონაცემებს, რომლებსაც უზიარებენ რექტორს და შესაბამის აკადემიკოსებს კათედრის ფარგლებში. გამოიყენება ღია და დახურული კითხვები, მოცემულია ღია გრაფა კომენტარებისთვის, ნებისმიერ თემაზე, რომელსაც შემდეგ აანალიზებენ. ანალიზის შემდეგ, ნებისმიერი საჭირო ცვლილება ეცნობება სტუდენტებს ელექტრონული ფოსტის, ასევე შეხვედრებისა და ანგარიშების მეშვეობით ყველა დაინტერესებულ მხარეს.

აღმოჩნდა, რომ სტუდენტების მიერ კითხვარების შევსება არამდგრადია. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს პროაქტიულ მიდგომას, აცნობს სტუდენტებს თუ რატომ არის მათი მოსაზრებები მნიშვნელოვანი, ასევე თუ რაში იყენებენ შემდგომ კითხვარებსა და მონაცემებს, ასევე სტუდენტებს უზიარებენ იმ ცვლილებებს, რომლებიც განხორციელდა სტუდენტთა მოსაზრებების შედეგად.

ეს მომავალში საჭიროებს გაფართოებას და დეტალურ მონიტორინგს განსაკუთრებით იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც პრაქტიკებს გადიან ქუთაისის უნივერსიტეტთა ასოცირებულ კლინიკებში. კარგი იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისგან იმის მოსმენა, თუ როგორ ამომწურავად ფასდება პროგრამები უნივერსიტეტის მიერ, და რომ მოპოვებული ინფორმაცია გამოადგება მედიცინის ფაკულტეტს, რამდენადაც ეს უკანასკნელი ცდილობს იმოქმედოს საუკეთესო პრაქტიკებით პროგრამის ყველა ასპექტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • იმის უზრუნველყოფა, რომ სტუდენტთა უკუკავშირის მოსაპოვებელი საუნივერსიტეტო სისტემები იქნება მტკიცე სტუდენტებისთვის, როდესაც ისინი დაიწყებენ პრაქტიკებს. • პროგრამის გუნდმა რეგულარულად უნდა გადახედოს პროგრამას, შეაფასოს და სრულყოს პროგრამა უამრავი დაინტერესებული მხარისგან მიღებული უკუკავშირის საპასუხოდ, ეს მხარეები არიან სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, კლინიკის პერსონალი და შემდგომში დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის პირველ კურსდამთავრებულთა დამსაქმებლები.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.2 გარე ხარისხის უზრუნველყოფა
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი მედიცინის პროგრამა მკაცრად მოწმდება და ხარისხი უზრუნველყოფილია მთელი რიგი გარე სააგენტოების მიერ, რომლებიც მოიცავს: • აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. • გარე დაინტერესებული მხარეები - სამედიცინოს კურსდამთავრებულთა მომავალი დამსაქმებლები • პოტენციური დამსაქმებლები, რომლებიც განიხილავენ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შინაარსს და მის შესრულებას. • ადგილობრივი და საერთაშორისო შემფასებლები, რომლებიც ჩართული იყვნენ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შემუშავების ფაზაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველობა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიკოსები, აფილირებული პროფესორები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული კოლეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამის გაუმჯობესებისათვის. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი ქუთაისის უნივერსიტეტმა შეიმუშავა „გზამკვლევი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარებისთვის“ და „გზამკვლევები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა კვლევებისთვის“. ამ რეგულაციებში განსაზღვრული ხარისხის მექანიზმების საფუძველზე, ქუთაისის უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირები უზრუნველყოფენ პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებას. გასაუბრების პროცესისა და თანდართული დოკუმენტების თანახმად, ქუთაისის უნივერსიტეტს ამ პროგრამისთვის მხოლოდ ორი გარე შეფასება აქვს, 1 ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან. ქუთაისის უნივერსიტეტმა ასევე მისცა კითხვარები დაინტერესებულ მხარეებს პროგრამის გაუმჯობესების საჭიროების შესაფასებლად. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართული ხალხია: აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, მოწვეული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. გამოკითხვები შეიცავს დეტალურ ინფორმაციას შემდეგზე: სტუდენტისა და დამსაქმებლის კმაყოფილება, კურსისა და ლექტორის შეფასება; სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, ხელმძღვანელობისა და სამუშაო პროგრესის შეფასება. გამოკითხვა ჩატარდება წელიწადში ორჯერ. გამოკითხვებთან ერთად, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, დამუშავდება შემდგომი ინფორმაცია: სტუდენტთა სწავლის შედეგები; სტუდენტთა ჩარიცხვა, სტუდენტთა რეიტინგული მაჩვენებელი, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმება, სტუდენტთა ჩართულობა უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში, ასევე სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობა. რეკომენდაციები:
--

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: პროგრამის გუნდმა რეგულარულად უნდა გადახედოს პროგრამას, შეაფასოს და სრულყოს პროგრამა უამრავი დაინტერესებული მხარისგან მიღებული უკუკავშირის საპასუხოდ, ეს მხარეები არიან სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, კლინიკის პერსონალი და შემდგომში დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის პირველ კურსდამთავრებულთა დამსაქმებლები.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): უნივერსიტეტი სტუდენტთა ხმას უსმენს შეფასებებისა და სტუდენტური თვითმმართველობის მეშვეობით და პასუხობს მათ უკუკავშირის პროგრამებისა და ყოველდღიური საუნივერსიტეტო აქტივობების შესახებ.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობანი	X			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ქუთაისის
უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დიპლომირებული მედიკოსი
(ერთსაფეხურიანი)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა


სტანდარტი	შესაბამისობა შეა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადი; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ითვალისწინებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

ექსპერტთა ჯგუფის
თავმჯდომარე სახელი,
გვარი, ხელმოწერა
პროფესორი ოლგინ
ვესტუდი



ექსპერტთა ჯგუფის
წევრის სახელი, გვარი,
ხელმოწერა

პროფესორი ია ფანცულაია



პროფესორი ცოტნე სამადაშვილი



ქალბატონი მარიამ თევზაძე

